პარასკევი, 1917 წ. ენკენისთვის 22 (5) № 208

წელიწადი მესამე

ფასი 15 კაპ.

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე კოალიციის პრინციპმა გაიმარჯვა. მომხრეა 766, მოწინააღმდეგე 688.

გერმანელები ბაღდადისკენ მიდიან.

მესოპოტამიაში ინგლისელებმა რამადის ციხე დაიჭირეს.

ბელგეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს, რომ გერმანეთმა ბელგეთი გადამიჯნა და ვალონია გამოჰყო.

ბელგეთში გერმანელებმა შეტევა დაიწყეს.

ბალტიის ფლოტში დიდი უწესოება.

წერილები

მეთაური. დემოკრატიული თათბირი და კოალიცია.

დ. კასრაძე. სკოლის ნაციონალიზაცია.

ქართული პრესა: „ერთობა“ და ეროვნული ჯარი.

ს. ქურდიანი. საქართველოს ტყეები და მათი მომავალი. (დასასრული).

ნ. დურნოვოს ფონდისათვის. ღია წერილი ნ. სიხარულიძისა.

ძველი ათონის მთა და ქართველი მამანი.

ბინის ახალი კანონი.

სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა სალიკვიდაციო კომისიის დებულება.

გაზეთ „საქართველოს“ კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,

გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

უზომოთ მწუხარენი მღვდელი სეითი და მეუღლე მისი ნინო მათეს ასული, გულითად მადლობას უწირავენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომელთაც პირადათ ან წერილობით აწუგეშეს იგინი საყვარლის შვილის პოდპორუჩიკის

იოსებ (სოსო) გამრეკელის

უდროვოთ გარდაცვალებისა გამო. 1—798—1

სახალხო სახლი

ხაზ. ხალ. არხ. ქართ. წარმ. მმართვ. წრე. — პარასკევს, 22 ენკენისთვეს

წარმოდგენილი იქნება:

ნამუსისთვის

დრ. 4 მოქმ. შირვანზადესი თარგ. კარაპეტიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ვ. მარჯანიშვილი, ა. ქიქოძე, ს. რომანიშვილი-დეკანოზიძისა. ბ. ბ. ნ. გოცირიძე, მ. ცაგარელი, ვ. ნინიძე, ა. მეტრეველი, ი. მინდიაშვილი და ნ. ჭანკვეტაძე.

ადგილების ფასი 1 მ. 9 კ.-დან 20 კ.-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ახალი დროით.

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 ს.-მდე.

წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. — შემდეგი წარმოდგენა 27 ენკენისთვეს.

რეჟისორი კ. შათირიშვილი. მისი თანაშემწე ალ. ბადრიძე.

(3—772—2) ქ. არ. ხალ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

ქართული კლუბი

ქართული დრამა

პარასკევს, 22 სექტემბერს, საზამთრო შენობაში წარმოდგენილი იქნება

გადაჭრილი მუხა

4 მოქ. ვალ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

წარმოდგენა ყველასათვის ხელმისაწვდომია.

თეატრი კლუბისაგან განცალკევებულია; წარმოდგენაზე დამსწრე კლუბში შესასვლელს ცალკე არ იხდის.

2—773—2 რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

იჯარით გაცემა

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, ენკენისთვის 27-ს შუადღის 12 საათზე დანიშნულია ლორის-მელიქოვის ქუჩისა და ალექსანდრეს ბაღის კუთხეში მდგომ

ქალაქის ბუდკის იჯარით გაცემა

პირობების გაგება ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების კანცელარიაში შეიძლება მხოლოდ სამუშაო დროზე.

1—775—1

კანტორა „განათლება“

უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „საქართველოს“, „ერთობას“, „ეშმაკის მათრახს“, „Борьба“-ს, „სახალხო საქმეს“, „ალიონს“, „Кавк. Рабочи“-ს, „ბრძოლას“, „სოფლის მუშას“, „Республика“-ს, „თეატრი და ცხოვრებას“, „ფაიქარს“, „კავშირს“ და ყველა ახლად გამოსულ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს.

კანტორაში არის გასაყიდი კანტორის გამოცემა ნ. რამიშვილის ცნობილი წიგნი „ისტორიული მატერიალიზმი“, ს.-დ. მოღვაწეები საქართველოში, ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ტარიელ გოლუა“, პეტროგრადიდან მიღებული სხვა და სხვა ნაირი თანამედროვე დიდძალი ლიტერატურა და ყველა გამოცემა ადგილობრივი ორგანიზაციების ქართულ-რუსული. ნისიათ გაზეთები და წიგნები არავის არ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ

თავისუფალია ერთი შტატის ადგილი გერმანული ენის მასწავლებლისა

სკოლის ნაციონალიზაციის გამო აღნიშნული საგნის მასწავლებელმა უნდა იცოდეს ქართული ენა.

3—771—3

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).

23—748—თ.

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—25)

სამკურნალო კაბინეტი

პ. ს. ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალური სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და 4½—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—19

ექიმი

მ. ი. მაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

თბილისი, ენკენისთვის 22.

დემოკრატიული თათბირი და კოალიცია

პეტროგრადის დემოკრატიული თათბირის მიზანი ახალი მთავრობის შედგენა იყო.

თათბირს უნდა დაეწესებინა ან ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შეთანხმებული კოალიცია, ან და პროლეტარიატისა და [illegible] გლეხთა ერთფეროვანი, სოციალისტური დიქტატურა.

თათბირმა ვერ გამოიჩინა მაინცა და მაინც ერთსულოვნება ამ საკითხში: 688 წევრმა სოციალისტური სამინისტროს მისცა ხმა, 766 კოალიციას მიემხრო და 38 თავი შეიკავა.

ასე თუ ისე „რევოლუციური დემოკრატიის“ უმრავლესობა მაინც კოალიციას ითხოვს და წმინდა სოციალისტური მთავრობის შედგენა მას შეუძლებლად მიაჩნია.

მაგრამ თვით პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი ხომ მარტო რუსეთის მემარცხენე საზოგადოებრივ წრეთა და ჯგუფთა წარმომადგენელია... არა სოციალისტური, არა თუ მემარჯვენე, არამედ თვით ზომიერი რუსეთიც კი ამ თათბირში არ მონაწილეობდა.

ეს „ბურჟუაზიული“ რუსეთი, რასაკვირველია სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგია და წმინდა ბურჟუაზიულ სამინისტროს თუ არა,—შერეულს, კოალიციას მაინც ითხოვს...

ამგვარად, დემოკრატიული თათბირის უმრავლესობამ ალღო აუღო რუსეთის ცხოვრების ძალთა განწყობილებას და არ გაჰყვა ბოლშევიკთა მაცდუნებელ მოწოდებას...

საღმა გონებამ სძლია წოდებრივ ჭირვეულობას, მაგრამ რამდენის ხნით? თათბირის 688 წევრი ხომ კვლავინდებურად განაგრძობს ბოლშევიკურ ქადაგს და ვინ იცის რამდენს ხანს გაუძლებს ახალი მთავრობა მათ ახალ იერიშებს...

რუსეთის რევოლუციის უბედურება ის არის, რომ რევოლუციის სათავეში მოქცეული ჯგუფები დაითვრნენ მოპოვებული ძალით და მოისურვეს სოციალისტურად გარდაქმნან ის ქვეყანა, რომელიც ჯერ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ვერ შეინახავს...

რუსის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს დაავიწყდათ ისტორიული მატერიალიზმის [illegible] და მათი მოქმედება ამ ჟამად უფრო ისტერიულ იდეალიზმით არის ნაკარნახევი.

სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც არც ერთი ცოცხალი წოდება არ არის გამოთიშული და მოშორებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უფლებას ან მოვალეობას...

ის სახელმწიფო და ის ერი, რომელიც ამ კანონს გარდუხვევს, იღუპება და მას ვერავითარი თეორია ვერ იპატივებს, ისე როგორც ვერ იპატივა თავი საწყალმა სპარსეთმა, რომელსაც რევოლუციამ სოციალიზმის ფრთების მაგიერ ინგლისელთა და რუსთა მძიმე უღელი დაადგა კისერზე..

* * *

სკოლების ნაციონალიზაცია

ძველი რეჟიმის დროს ჩვეული ვიყავით კლასიკური გიმნაზიების რუსიფიკაციის ქარხნებად გამოცხადებინა. ამისი საბუთიც გვქონდა: მთავრობის არსებულ გიმნაზიებში პირდაპირ დევნილი იყო სამშობლო ენა, ხოლო ბავშვების სულიერს სიმახინჯეს ხომ თვით სკოლის კედლებიც ჰღაღადებდა. დღეს რევოლუციამ ყოველისფერში ცვლილება მოახდინა და არც სკოლის ბედი დარჩენია შეუხებელი მის სასწაულმოქმედ [illegible]ების კვერთხს. იმის გარდა, რომ ფაქტიურად ნებადართულია სკოლებში (დაბალ-საშუალო-[illegible] თვით უმაღლესში), ადგილობრივ ენებს [illegible] სათანადო ყურადღება [illegible] მეტ წილად [illegible]გენილია აგრეთვე, რომ [illegible] მოხდეს, სკოლების ნაციონალიზაცია [illegible] ესე იგი, სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე ხდებოდეს.

თბილისის ქალაქის კომიტეტმა სკოლების ნაციონალიზაციის საკითხს სათანადო ყურადღება მიაქცია. უკვე ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ეცნობა ფართო საზოგადოებას, რომ კომიტეტი იგი იზრახავს საშუალო სასწავლებლების უმდაბლეს განყოფილებაში სწავლა სამშობლო ენაზე [illegible]. ამასთანავე კომიტეტი ზომებს იღებს, რომ თვითეულ ერის ინტერესი დაცული იქმნეს. უეჭველია, კომიტეტის ასეთ განზრახვა-გარდაწყვეტილებით თბილისის მცხოვრებლებიდან უფრო ისინი ისარგებლებენ, ვინც მეტს სიფხიზლეს და უნარს გამოიჩენენ. თუ გავიხსენებთ, რომ ქართველობა, შეუდარებლად ღარიბი მდგომარეობისა, რუსეთში სხვა ერებთან შედარებით პროცენტულად მეტს შვილებსა ზრდიდა, უნდა [illegible], რომ არც ამ შემთხვევაში გაუშვებს [illegible] და მეტის ხალისით [illegible] ქართულ მშობლიურს [illegible] წაადგება.

ვინც საკითხს [illegible] ჩახედული, ჰგონია, ნა[illegible] აბსურდი იქნება, რადგანაც [illegible] სახელმძღვანელო[illegible] გვაქვს და [illegible] ხელმძღვანელნი გვიჩანან. მაგრამ ასეთი შიში უსაფუძვლოა. სახელმძღვანელოების შედგენა ჩვენს საუკუნეში არც ისე ძნელია, როგორც ეს [illegible] მესამოცე-მეოთხმოცე წლებში. შრომამ და გარჯილობამ საეპარქიო სასწავლებელი, მაგალითად, დიდი ხანია ნაციონალიზაციის გზაზე დააყენა და აგერ წელს რვა კლასშივე არ შეუშინდნენ მის სრულყოფას, ხორცშესხმულობას. ასევეა გარდაწყვეტილი სემინარიისთვის. ქართული გიმნაზია ცოტა [illegible] და ყველა კლასებში ვერ ჰბედავს სწავლის სამშობლო ენაზე წარმოებას, მაგრამ გვწამს, ერთი წლის გამოცდილების შემდეგ თვითონვე დაარღვევს თავის გარდაწყვეტილებას. მაგრამ საქმე ხომ სახელმძღვანელოთა უქონლობა არ არის, არამედ პრინციპი. მით უმეტეს არ უნდა გვეშინოდეს პირველ დაწყებით დაბალ კლასებიდან სწავლებისა, რაიც მიგვიყვანს იმ იდეალთა განხორციელებამდე, რასაც ეტრფოდნენ ჩვენნი წინაპარნი, მაგრამ უკუღმართ მართველობისაგან ოცნებად დარჩათ. ერი აღორძინების გზაზე დადგა. შემთხვევა უკეთესია, გარჯილობაა მხოლოდ საჭირო.

დ. კასრაძე.

* * *

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა“ და ეროვნული ჯარი.

გაზეთი „ერთობა“ ეხება ადგილობრივ ჯარების ნებადართვას და სხვათა შორის სწერს:

> დღეს ჯარი უკვე მთელი ხალხია, ვინაიდან თითქმის ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, იარაღქვეშაა დაყენებული. მეორე მხრით, დღეს რევოლუციონურ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს დემოკრატია, ჯარი მის მხარეზეა, იგიც დემოკრატიის შვილი—თავის მშობლებს უდგია გვერდში. მაგრამ ამით ზემო მოყვანილი დებულება სოციალისტების მაინც არ იცვლება. დღესაც საჭიროა ჯარი ადგილობრივი, ერთგვარი [illegible]

შესდგეს. ასეთ პირობებში რევოლუციონური ჯარიც უფრო ახლო დგას თვით მასის სულისკვეთებასთან, მცხოვრებლებთან და ამით რევოლუციონური კავშირი მათ შორის ძლიერია, მჭიდროა; მაგრამ დღეს ომის ხანაა, ომი კი ყველას ფრონტზე უწოდებს წასასვლელად. თავის თავად ცხადია, აქაც ეროვნულად შედგენილი ჯარი არა ნაკლებ ძალას და ენერგიას გამოიჩენს ბრძოლაში, ვინემ დაქსაქსული და არეული, რომელსაც ხშირად არც კი ესმის უფროსების ბრძანების შინაარსი. ეს აზრი ძველი მთავრობის დროსაც იყო სახეში მიღებული და აქა-იქ არსებობდა კიდეც ეროვნული პოლკები. მაგ. ქართველთა პოლკი, რომელიც დღესაც სპარსეთში იბრძვის.

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი

დღეს რუსეთის ბანაკის ცნობა არ მოსულა..

ხმები გერმანელთა დესანტის გადმოსხმის შესახებ

ჰელსინგფორსი. ენკენ. 19. ხმები ფინეთის ყურეში გერმანელთა დესანტის შესახებ სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. ბალტიის ზღვაზე ცვლილება არ მომხდარა. ფლოტის ბრძოლის უნარი კვლავინდებურად დიდია.

გერმანელების მზადება ბესარაბიაში

ოდესა. 19 ენკ. რუმინეთის ფრონტიდან იუწყებიან, რომ მტერი სისტემატიურად ემზადება ფოკშანის მიმართულებით შეტევის დასაწყებად. დარწმუნებულნი არიან, რომ მტერს დიდ წინააღმდეგობას აღმოუჩენენ.

პეტროგრადის საჰაერო დაცვა

პეტროგრადი. ენკენისთვის 19. პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა გამოაცხადა, რომ პეტროგრადზე საჰაერო თავდასხმის დროს მიღებული იქნება შემდეგი ზომები: 1) ჰაეროპლანის თუ ცეპელინის გამოჩენისთანავე ორჯერ ზედიზედ დააყვირებენ საყვირს, ხოლო ღამით ორჯერ ელექტრონს ჩააქრობენ და ისევ აანთებენ. თუ ჰაეროპლანი ან ცეპელინი ქალაქს მოუახლოვდა, მაშინ ნიშანი სამჯერ იქნება მიცემული, ღამე კი სინათლეს სულ ჩააქრობენ. 2) ამ ნიშნების გაგებისთანავე მცხოვრებლებმა ღამე ფანჯრები უნდა დაჰხურონ და სახლში დარჩნენ, რადგანაც ქუჩაში მოსიარულეებისთვის საშიში იქნება გასკდარი ყუმბარების ნატეხები. 3) აღნიშნული ზომები წინასწარ იქნება გამოცდილი.

ბრძოლა მესოპოტამიაში

ლონდონი. ენკენ. 18. მტერი შეეცადა რამედის გარშემო მდგომ ჩვენი ჯარის გარღვევას, მაგრამ ამაოდ. ჩვენ ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ათასი ტყვე, მათ შორის ჯარის უფროსი აჰმედ ბეი მთელი შტაბითურთ. რამდენიმე [illegible] ჩვენს ხელშია.

გერმანელები ბაღდადისკენ მიდიან

მოქმედი ლაშქარი. ენკენის. 18. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობებით, გერმანელთა ჯარის ნაწილები ბაღდადისკენ მიდიან. ოსმალეთი ჯარს ველარ შეავსებს, რადგანაც უკვე დიდი ხანია რაც გაიწვიეს ყველა ის, ვისაც კი თოფის ხმარება შეეძლო.

დასავლეთის ფრონტი.

ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. ენკენისთვის 18. ბრიტანეთის ბანაკის ცნობა. იპრის ჩრდილო-ეთითა და აღმოსავლეთით და ეგრეთვე ნიუპორტის ნაწილში მტრის არტილერიამ მოქმედება გააძლიერა. ენკენისთვის 16 ჩვენმა მფრინავებმა ზეებრიუგგეს, შლიუზებსა და სენ-დენი-ვესტრემში ყუმბარები ჩამოჰყარეს, რამაც ცეცხლი გააჩინა. ჰაერში ბრძოლის დროს მტრის 2 მფრინავი ვაიძულეთ ძირს დაშვებულიყო. ჩვენები უვნებლად დაბრუნდნენ.

ლონდონი. ენკენ. 19. ოფიციალი. მენენ-იპრის გზის ჩრდილოეთით და პოლიგონის ტყის აღმოსავლეთით დილიდან გერმანელებმა დიდი იერიში მოიტანეს ერთი მილია მანძილზე გამაგრებულ ასპარეზზე. მტრის ქვეითა ჯარს დიდი ზარალი მივაყენეთ. უწესოდ გაფანტულებს უკან დავედევნეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. უკანასკნელ სამ საათის განმავლობაში გერმანელებმა ორჯელ კიდევ მოიტანეს იერიში, მაგრამ თითქმის ყველგან მოვიგერიეთ. პოლიგონის ტყის აღმოსავლეთით მტერმა გაძვრომა შეძლო. ენკენისთვის განმავლობაში ტყვედ ვიგდეთ 5206 კაცი, მათში 140 ოფიცერია. ჩვენ ხელშია 11 ზარბაზანი, მათ შორის 3 მძიმე, 57 სანაღმე მორტირი და 307 ტყვიისმფრქვეველი.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. ენკენისთვის 19. გუშინ ვაინიცის ზეგანზე მტერმა იერიშები განაახლა, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ. ამ უკანასკნელ სამ დღეში ჩვენ 2.010 ტყვე წამოვიყვანეთ, მათ შორის 63 ოფიცერია. ვოლცერმონში მოვიგერიეთ მტრის რაზმი, რომელიც პასსო-დელლა-პორტის ასპარეზსა და ფორჩელლოსის ხევთან შეეცადა იერიშს.

გერმანელთა შტაბის ცნობა

ენკენისთვის 9

კრონ პრინც რუპრეხტის ფრონტი

[illegible] ძლიერი ცეცხლის შემდეგ მტერმა კვლავ ხანგამოშვებითი იერიშები დაიწყო. გუშინ ფლანდრიის ფრონტზე შუადღის შემდეგ კვლავ ძლიერი ცეცხლი მძვინვარებდა. ცხარე ბრძოლა იყო ეგრეთვე იზერიდან ლელიამდე. ბიზინგენის, სტადენის და იპრენ-რულერის რკინის გზათა შუა ინგლისელების ქვეითა ჯარმა შემოტევა განაახლა, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლით მოვიგერიეთ. სამხრეთით გოლენბეკის არხამდე ჩვენმა მძლავრი ცეცხლის სიმძაფრემ მტრის ტალღები შეაჩერა. ინგლისელთა საიერიშო რაზმებმა ზოგ ზოგ ალაგას ახალ ასპარეზებისკენ გამოსვლა შესძლეს, მაგრამ ისინიც მოვიგერიეთ. დღეს ქვეითა ჯარსაც უხდებოდა ალაგ ალაგ შეტაკება, მაგრამ მუდამ მარჯვედ ვიქცეოდით. დასავლეთის ფრონტის დანარჩენ ჯარს უმნიშვნელო შეტაკება ჰქონდა მტერთან.

აღმოსავლეთის ფრონტი

პრინც ლეოპოლდ ბავარიელის ფრონტი. იაკობშტადტის ჩრდილო-აღმოსავლეთით გენერალ ლეიტენანტ გრაფ ფ. შმეტტოვის წინამძღოლობით მებრძოლმა ჯარმა რუსების ასპარეზები გაარღვია. ძლიერი საარტილერიო და სანაღმო ცეცხლი გზას უკაფავს ქვეითა ჯარს. მფრინავებიც დიდს დახმარებას უწევენ. მფრინავთა ხელმძღვანელია—პრინცი ფრიდრიხ სიგიზმუნდ პრუსიელი. მტერი მდინარესკენ გავდევნეთ. დვინის დასავლეთ მხარეზე მტერმა ხიდის წინ მდებარე ადგილი დატოვა და აღმოსავლეთ მხრისკენ დაიხია. იაკობშტადტი ჩვენს ხელშია.

მაკედონიის ფრონტი

ოხრიდის ტბისა და სკუმბის ველის შუა ფრანგებმა დიდი იერიშები დაიწყეს. გერმანელთა და ავსტრია-უნგრელთა ჯარმა მტერი ცხარე ბრძოლით მოიგერიეს.

საღამოს ცნობა. 10 საათი, 30 წუთი ფლანდრიაში კვლავ ცეცხლი მძვინვარებს. ჩვენ ლიეგენოფამდის მივაღწიეთ.

ზავის გარშემო

საფრანგეთის სოციალისტები და რუსები.

პარიზი. ენკენისთვის 18. სენის დეპარტამენტის სოციალისტურ ფედერაციის სხდომაზე სამბამ განაცხადა, შესაძლებელია რუსეთი ისეთს მდგომარეობაში ჩავარდეს, როგორშიაც ჩვენ ვიყავით 1914 წლის მარიამობისთვეში. მაშინ ევროპის არსებობის კითხვაც დაისმება. ნუ იტყვით, რომ თქვენ ზავი გწყურიათ რათაც უნდა დაჯდეს იგი. თუ რუსებისთვის [illegible] არა გვწადია, ჩვენ უნდა ვუთხრათ მათ, რომ მოქმედების ერთიანობის აზრით [illegible] ისე შეპყრობილნი, როგორც ეხლა.

საფრანგეთი და რუსეთი

პარიზი. ენკენისთვის 16. ტომა „ინფორმაციონ“-ში სწერს: „რუსეთის რევოლუციის მსვლელობა ხან და ხან გვაიმედებს, ხან კი შიშსა გვგვრის. მიუხედავად ამისა მოკავშირეებმა რუსეთის წინაშე თავისი ვალი უნდა მოიხადონ. რუსეთის იმედი მთლად არ უნდა დავჰკარგოთ. ჟურნალ-გაზეთობა უნდა გაურბოდეს რუსეთის თავმოყვარეობის შეურაცხყოფას. მოკავშირეთა შორის კამათი საზარელია. ხმები, ვითომც მოკავშირეებს რუსეთის დაზარალებით სურდეთ ზავის ჩამოგდება უაზრობაა. ტომა სურვილს გამოსთქვამს, რომ მოკავშირეებმა საგანგებო ომის განგრძობის მოსაწყობად თათბირი მოიწვიონ და რუსეთს აქტიურად დაეხმარონ ლაშქრის შედგენაში.

რუსეთის რესპუბლიკა

დეპეშები

დამფუძნებელ კრების არჩევნები.

პეტროგრადი. ენკენისთვის 18. დამფუძნებელ კრების არჩევნების მოსაწყობად გადაწყვეტილია გადაიდოს 6 მილიონი მანეთი. ადგილობრივ საქალაქო და სასოფლო თვითმართველობის სათანადო დაწესებულებათა დაარსებამდე დამფუძნებელ კრების არჩევნების მოწყობა ქალაქის გამგეობას, ქალაქის მაზრის და სასოფლო საარჩევნო კომისიებს ექნებათ დაკისრებული.

უწესობა ბალტიის ფლოტში.

პეტროგრადი. ენკენისთვის 19. ფლოტის ცენტრსა და საზღვაო მინისტრის შორის ბინის გამო უთანხმოება მოხდა. ფლოტის ცენტრმა მოითხოვა უფროსების გადაყენება, საზღვაო მინისტრის პირველი თანაშემწის გამოცვლა და ბინის დათმობა. დრ. მთავრობამ განიხილა ეს მოთხოვნილებანი და დაადგინა: 1) დაითხოვოს ფლოტის ცენტრი და დანიშნოს ახალი არჩევნები, 2) ბალტიის ფლოტში მღელვარების მოხდენა ცენტრს მოღალატეობათ ჩაეთვლება და მისი წევრნი სამართალში იქნებიან მიცემულნი, როგორც აჯანყების წამქეზებელნი. ეს დადგენილებანი ფლოტის ცენტრს ეუწყება.

ტაშკენტის ამბოხების გამო.

პეტროგრადი. ენკენისთვის 19. სოც.-რევ. პარტიის მთავარმა კომიტეტმა ტაშკენტში მომხდარ ამბების გამო წინადადება მისცა პარტიის წევრებს მიატოვონ სარევოლუციო კომიტეტი, ვინაიდგან უკანასკნელის საქციელი ბოლოდროს კონტრ-რევოლუციურია.

შრომის ბირჟა

პეტროგრადი. ენკენ. 19. შრომის სამინისტროსთან შემდგარი ადგილობრივ შრომის ბირჟების წარმომადგენელთა თათბირი დასრულდა. შეიმუშავეს შრომის ბირჟების ორგანიზაციის გეგმა.

მეზღვაურთა უნივერსიტეტი

პეტროგრადი. ენკენისთვის 19. საზღვაო მინისტრის მთავარ შტაბის პოლიტიკურმა განყოფილებამ მეზღვაურთათვის მეორე უნივერსიტეტი მოაწყო. ლექციების მოსასმენად ფლოტის ყველა ნაწილებიდან 600 მეზღვაური გაიწვიეს.

ხელოსნების სიმცირე ჯარში

პეტროგრადი. ენკენ. 19. ჯარში ხელოსანთა დიდი სიმცირის გამო თავდაცვისათვის მომუშავე დაწესებულებებში ხელოსან ჯარისკაცთა გაწვევა აიკრძალა.

გენერლების დანიშვნა

პეტროგრადი. ენკენ. 19 მე 9 არმიის შტაბის უფროსის თანაშ. ალმ. **კელჩევსკი** მე 9 არმიის უფროსად დაინიშნა და გენ.-ლეიტენანტობა მიეცა.

მე-10 არმიის უფროსი **ლომნოვსკი** და მე-11 არმიისა—**ერდელი** თანამდებობიდან გადააყენეს და სათადარიგო ჯარში ჩარიცხეს.

მე-10 არმიის უფროსად დაინიშნა დასავლეთის ასპარეზის არტილერიის ინსპექტორი გენ.-ლეიტ. **ამირ-შახლინსკი.**

მე-11 არმიის უფროსად—მე-23 კორპუსის უფრ. გენ.-ლეიტ. **პრომპოვი.**

საგანგებო არმიის უფროსად—მე-39 კორპუსის უფროსი ინფან. გენ. **სტელნიცკი.**

მე-8 არმიის შტაბის უფროსის მოადგილე **ზარონი**—მე 46 კორპუსის უფროსად.

სევასტოპოლის ციხის კომენდანტის მოადგილე გენ.-მაიორი **იახნიკოვი**—ბალტიის ფლოტის დივიზიის [illegible] ესკადრის უფროსად.

რუმინეთის ლაშქრის შტაბის გენ.-კვარტირმეისტერი **ჩერემისინოვი** სევასტოპოლის ციხის კომენდანტის მოადგილედ.

მე-42. კორპუსის უფროსი გენ.-მაიორი **ბაშნევი** თანამდებობიდან გადააყენეს და რეზერვში ჩარიცხეს.

თურქესტანის ერობა

პეტროგრადი. ენკენ. 19. თურქესტანის ერობის 17 ივნისის დებულების რამდენიმე მუხლების შეცვლა და შევსება დაკანონდა.

აგრარული მოძრაობა

პეტროგრადი. ენკენ. 19. რამდენიმე ალაგას აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომლის ჩასაქრობად უკვე გაემგზავრნენ საოლქო მმართველობისა და დეპუტატთა საბჭოს წევრები.

კომიტეტების დადგენილებათა განსაჩივრება

პეტროგრადი. ენკენ. 19. დრ. მთავრობამ გამოაქვეყნა სასურსათო და სამიწადმოქმედო კომიტეტების დადგენილებათა განსაჩივრების წესრიგი.

ეროვნული საკითხი

ეროვნებათა ყრილობის დადგენილება

კიევი. ენკენ. 16. (დაგვიანებული) ერთა ყრილობამ მიიღო, რომ რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად უნდა გამოცხადდეს. ყრილობამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია. ეროვნულ პერსონალურ ავტონომიის შესახებ მიღებული რეზოლუცია ამბობს: 1) რუსეთის ყველა ეროვნებას ეროვნულ პერსონალურ ავტონომიის უფლება აქვს, 2) ნაციონალურ ავტონომიურ ინსტიტუტის კომპეტენციის სფეროს და აგრეთვე შინაგან ორგანიზაციის კონკრეტულ ფორმებს შეიმუშავებს ამა თუ იმ ერის ეროვნული დამფუძნებელი კრება. 3) სახელმწიფოებრივი კანონი ეროვნულ უმცირესობათ უფლებას აძლევს საქმე დედა-ენაზე აწარმოონ, როგორც სახელმწიფო ანუ საოლქო დაწესებულებებში, ისე ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებში.

რეზოლუცია ბელორუსების შესახებ

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: დროებითმა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გამოსცეს აქტი ბელორუსების ავტონომიის შესახებ. ავტონომიურ ბელორუსეთში უნდა შევიდნენ მტრისგან ყველა დაპყრობილი ბელორუსების ქალაქები და ოლქები.

რეზოლუცია ყაზახთა შესახებ

ყაზახთა შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: 1) ყაზახობა რუსეთის რესპუბლიკის ერთი ერთ შტოდ უნდა იქნას მიღებული და დამოუკიდებლობის სრული უფლება უნდა მიეცეს. 2) მხარი დაუჭიროს ყაზახთა ლტოლვილებას თვითგამორკვევის ნიადაგზე საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად. 3) მივესალმოთ ყაზახობას, რომ ისინი შედიან რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ფედერატიულს ნიადაგზე მოწყობილ სახელმწიფო ოჯახის თანასწორუფლებიანს წევრს.

რეზოლუცია ლიტველების შესახებ

ყრილობამ ერთხმად დაადგინა დროებით მთავრობის საყურადღებოდ, რათა მან დაუყოვნებლივ გამოსცეს და გამოაქვეყნოს განსაკუთრებული დეკრეტი მთელი ლიტვის გასაერთიანებლად, რათა ლატიშებს ჰქონდეთ უფლება ავტონომიური მართვა-გამგეობისა, როგორც თანასწორ უფლებიან წევრს რუსეთის ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკისას. რეზოლუციაში [illegible] ნათქვამი, რომ ლიტვის სახელმწიფო უნდა შედგენილ იქნეს რუსეთისა და პრუსიის ლიტვის ნაწილებიდანაო.

პროტესტი ბელგეთის გაყოფაზე

პეტროგრადი. ენკენისთვის 18. ბელგეთის მთავრობამ მოკავშირე სახელმწიფოებს და ნეიტრალ ქვეყნების წინაშე პროტესტი განაცხადა გერმანელთა მიერ ბელგეთის ტერიტორიის დამოუკიდებელ ადმინისტრატიულ ოლქებად გაყოფის შესახებ. პროტესტში ნათქვამია, რომ ასეთ ზომებით ბელგეთის კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი ირღვევიანო. ბელგეთი ხელახლად პროტესტს აცხადებს გერმანიის მთავრობის მიერ ასეთ საერთაშორისო უფლების დარღვევის გამო.

პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი

ჩერნოვის სიტყვა

შემდეგ სიტყვა მიიღო ყოფილმა მინისტრმა ჩერნოვმა. ორატორმა აღნიშნა, რომ რევოლუციის შემდგომ გლეხობა მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ აუწერელი თავდაჭერა გამოიჩინაო. რევოლუციამ მოსპო ადგილობრივი მთავრობა და გლეხობა მებატონეთა ანაბარად დასტოვა. მხოლოდ შეერთებულს კომიტეტებს შეეძლოთ ეშველნათ გლეხებისთვის და აი, კიდეც გამოჩნდნენ ასეთნი. რა იქნებოდა რევოლუციის თავს, თუ ეს კომიტეტები არ გამოჩენილიყვნენ?! ბოლოს ჩერნოვმა გამოაქვეყნა რეზოლუცია, რომლითაც ამოწმებენ, რომ კოალიცია კადეტებთან ყოვლად შეუწყნარებელია, რომ სოფელში წესიერება იყოს, ამისთვის საჭიროა ისეთი მთავრობა, რომელიც იხელმძღვანელებს განსაზღვრული პროგრამით და კონკრეტიულ ზომებითაო.

მარტოვის სიტყვა

დეპუტატთა საბჭოს უმრავლესობის სახელით ლაპარაკობს **მარტოვი.** იგი ფართოდ ეხება საბჭოების მოქმედებას და [illegible] რეზოლუციას ადგენს: გადაჭრით უნდა უარვყოთ ყოველგვარი შეთანხმება ცენზიან ელემენტებთან და მთელის ძალღონით შევეცადოთ ნამდვილ რევოლუციურ მთავრობის შედგენას, რომელიც შესძლებს დამფუძნებელ კრებამდე გარდაუდებელ საკითხთა გადაჭრას. მხოლოდ ისეთი მთავრობა, რომელიც განთავისუფლებული იქნება დემოკრატიასთან მტრულად განწყობილ ელემენტებისგან, შესძლებს სამშობლო ქვეყანისა და რევოლუციის დაცვას გარეშე მტრისაგანაც და შინაურ არეულობისაგან. ასეთი მთავრობა იქნება მხოლოდ ერთფეროვანი, სოფლისა და ქალაქის დემოკრატია-პროლეტარიატთან ერთად ჯარისკაცების დახმარებით, რომელნიც კონტრ-რევოლუციასაც ჩააქრობს და ყველა იმ დანიშნულებას შეასრულებს, რაც ისტორიამ წამოუყენა რუსეთს. (ტაში).

დანის სიტყვა.

დეპუტატთა საბჭოს უმცირესობის სახელით დანმა ილაპარაკა. წაკითხულ რეზოლუციით მან აღნიშნა რომ ეხლანდელ მთავრობამ თავის დანიშნულება ვერ შეასრულაო. ამის მიზეზად მთავრობის დემოკრატიულ ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირის უქონლობა იყოო. ეხლა ჩვენ მზად ვართ მივაწოდოთ მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად ყველა ის ცენზიანი ელემენტები, ვინც მზად არიან რევოლუციურ გზით იარონ და ვინც კორნილოვის შეთქმულებაში მონაწილეობით ჩირქი არ მოიცხოო. მათ ჩვენ მოვუწოდებთ შეერთებულ დემოკრატიის მიერ მოსკოვის თათბირზე შემუშავებულ პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. საქმიანი საგარეო პოლიტიკა დემოკრატიულ საერთო ზავისკენ მიმართული, დემოკრატიულ საფუძველზე ჯარის რეორგანიზაცია, ტრანსპორტის წარმოების და განაწილების მოწყობა, დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევა,—აი ძირითადი პუნქტები ამ პლატფორმისა. რაც შეეხება მთავრობის შედგენას, იგი დემოკრატიამ უნდა იკისროს. დემოკრატიულმა თათბირმა უნდა გამოჰყოს წარმომადგენლობითი ორგანო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა მსხვილი დემოკრატიული ძალები. მის წინაშე მთავრობა პასუხისმგებელი იქნება. ცენზიან ელემენტების წარმომადგენლები ამ წარმომადგენლობით დაწესებულებაში უნდა მონაწილეობას იღებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ მათ უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე, მაშინ ყველას ეცოდინება, რომ მათი უარი გამოწვეულია მხოლოდ საკუთარ ინტერესებითაო.

შემდეგ გამოვიდნენ საზოგადოებათა და რევოლუციურ დემოკრატიის სხვა და სხვა ჯგუფთა წარმომადგენლები თავიანთი დეკლარაციებით, სახელდობრ: **ზნამენსკი, სტეკლოვი, კამენევი, ჩერნოვი, ტროცკი და წერეთელი.** პლეხანოვის სიტყვა, მის დაუძლურობის გამო, მისმა თანამოაზრემ წაიკითხა. სხდომის დასასრულს დიდ ხმაურობას და ინციდენტებს ჰქონდა ადგილი. **ჩხეიძე** იმუქრება სხდომას დავხურავ და თავმჯდომარეობას თავს ვანებებო. ღამის სამ საათზე ჩხეიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შემდეგი მორიგი სხდომა ენკენისთვის 19-ს ნაშუადღევს პირველ საათზე დაიწყება. კენჭი ეყრება კოალიციის პრინციპს.

სახალხო სოციალისტების წარმომადგენლის სიტყვა

დანის შემდეგ სიტყვა მიეცა პარტიათა წარმომადგენლებს. პირველად შრომის სახალხო სოციალისტურ ფრაქციის წარმომადგენელი ზნამენსკი წამოდგა, რომელმაც განაცხადა: პარტიის პოზიცია კოალიციური პრინციპია. სოციალისტური სახელმწიფო, სოციალისტური სამინისტრო, რომელსაც გარშემო არაფერია, ზედმეტია ლაპარაკი. ზნამენსკი ეკვობს, ნუ თუ სოციალისტების მიერ წამოყენებული ლოზუნგები უმრავლესობის გულის პასუხს შეადგენენ? დღეს დღეობით [illegible] შეიძლება იყოს [illegible] ნიადაგზე, [illegible] ყველა ცენზიან ელემენტებს თვით კადეტებამდე. რუსეთის ხსნა საერთო ძალღონით უნდა მოხდეს, პარტიათა დამოუკიდებლივ. (ტაში).

სტეკლოვის სიტყვა

ს. დ. გაერთიანებულ ფრაქციათა და ს. დ. ინტერნაციონალისტთა წარმომადგენელი სტეკლოვი კოალიციის წინააღმდეგია და მოითხოვს ერთფეროვანს სამინისტროს. ამბობენ, ეს სამოქალაქო ომს გამოიწვევსო, მაგრამ ეს მართალი არ არის. პარლამენტარიზმი მოითხოვს, რომ მთავრობა უმრავლესობის ხელში იყოს. გლეხობა, მუშები და ჯარისკაცები უმრავლესობას შეადგენენ, მაშასადამე რევოლუციის ხსნა მხოლოდ მათ შეუძლიათო. იგი რადიკალურად წინააღმდეგია მოსკოვის თათბირზე ჩხეიძის მიერ წამოყენებული პლატფორმისა.

ს. რ. მემარჯვენეთა წარმომადგენლის სიტყვა.

სოციალისტ-რევოლუციონერების მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელმა მოსკოვის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ მინორმა განაცხადა, ერთფეროვანი მთავრობა უძლური იქნება სამშობლოს მძიმე მდგომარეობიდან სახსნელადაო, კოალიციის უარყოფა მოქალაქეობრივ ომს წარმოშობსო.

მარტოვის სიტყვა

სოციალ-დემოკრატების მენშევიკების სახელით მარტოვმა ილაპარაკა. კადეტებს არ შეუძლიათ დემოკრატიასთან ერთად სიარული. ეს კორნილოვის შეთქმულებამაც დაამტკიცა. კადეტებთან კოალიციის შეუძლებლობა ეხლა ყველასთვის ნათელია. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ: ეს დასკვნა: ძირს კოალიცია!

ენკენისთვის 19-ის სხდომა

კოალიციის საკითხის კენჭის ყრა

კოალიციის საკითხზე კენჭის ყრამ 4 საათზე მეტი გასტანა. საღამოს ათის ნახევარზე მოსკოვის ქალაქის თავმა რუდნევმა კენჭის ყრის შედეგი გამოაქვეყნა: კოალიციის მომხრე აღმოჩნდა 766, მოწინააღმდეგე 688. თავი შეიკავებინა 38. ხმები ასეა დანაწილებული: დეპუტატთა საბჭოდან—მომხრეა 38, მოწინააღმდეგე 192. თავი შეიკავა 4; გლეხთა დეპუტატების საბჭოდან მომხრეა 102, მოწინააღმდეგე 70, თავი შეიკავა 12; ქალაქთა თვითმართველობათაგან მომხრეა 114, მოწინააღმდეგე 101, თავი შეიკავა 8; ერობათა და საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებისგან 98 მომხრე, 28 მოწინააღმდეგე, თავი შეიკავა 2; ეკონომიურ და სასურსათო ორგანიზაციებიდან მომხრეა 34, მოწინააღმდეგე 15, თავი შეიკავა 1, პროფესიულ და მუშათა კავშირთაგან მომხრეა 132, მოწინააღმდეგე 139, თავი შეიკავა 2; კოოპერატივებიდან მომხრეა 140, მოწინააღმდეგე 23, თავი შეიკავა 1; სამხედრო ორგანიზაციებიდან მომხრეა 64, მოწინააღმდეგე 55, თავი შეიკავა 7; ეროვნულ ორგანიზაციებიდან მომხრეა 15, მოწინააღმდეგე 40, თავი არავის შეუკავებია; სხვა ორგანიზაციებიდან მომხრეა 84, მოწინააღმდეგე 30, თავი შეიკავა 1.

კენჭის ყრის შედეგების გამოცხადებას ტაშით და „სირცხვილის“ ძახილით შეეგებნენ. თავმჯდომარე რუდნევი აცხადებს, რომ პრეზიდიუმმა უნდა განიხილოს შემდეგ საკითხების დასმა, რისთვისაც საჭიროა ნახევარ საათით სხდომის შეწყვეტა. სხდომა შეწყდა 9 ს. და 40 წუთზე.

უკანასკნელი დეპეშები

ქიევის ხაზინაში უწესობამ ანარქიული ხასიათი მიიღო. [illegible] მარჯვენა ნაპირისკენ განიზრახეს [illegible]. გაძარცვეს და დაწვეს: კუნტრადი, მოჯიგი, მანდელი, კლეჯბაი, კუპრაკი, კოტაი და ჩუმანა.

—

მოსკოვის გაზეთები სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ კონოვალოვი დანიშნულია ფინანსების მინისტრად, აჯემოვი მიწათმოქმედების მინისტრად, ტრეტიაკოვი—ვაჭრობის მინისტრად, კიშკინი—მოწყალეობის მინისტრად და სასურსათო საქმეთა მინისტრის ამხანაგად—ბაშკიროვი.

—

მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო სამარის, ზაბაიკალის და ციმბირის რკინის გზებზე გაფი-

ცვალთა კომიტეტები შეხვდა, შესაძლოა გაფიცვა, თუ ჯამაგირების მომატების შესახებ დეკრეტი არ გამოიცა.

„ვოლია ნაროდა“ სწერს: ვერხოვსკისთან უთანხმოების გამო შესაძლოა ა. ფ. კერენსკი მთავრობიდან გავიდეს.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ხმები ოსმალეთის რევოლუციის შესახებ.** გუშინ თბილისში ხმა გავრცელდა, ვითომც ოსმალეთში რევოლუცია ხდებოდეს. დახოცილები არიან ენვერ-ფაშა, თალაათ-ბეი, სულთანი მაჰმედ მე-5 უეცრივ გარდაიცვალა.

◆ **მძარცველი შანტაჟისტები.** ავლაბარში შემდგარა შანტაჟისტების ჯგუფი, რომელმაც ენკენისთვის 20-ს ბინების ჩხრეკა დაიწყო ავლაბარში, ჯგუფის მონაწილენი სალდათის ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. ყველა ოჯახებს აფორიაქებდნენ. მცხოვრებლებმა ეს ამბავი სამილიციო კომისარიატს გააგებინეს. ამბავი გაიგო აგრეთვე მხედრობის ერთმა ნაწილმა. მთელი ავლაბარი ფეხზე დადგა. მჩხრეკავები მიიწყვდიეს ერთ სახლში და გამოიყვანეს იქიდან. ორი მათგანი გაბრაზებულმა ხალხმა იქვე მოჰკლა ცემით, დანარჩენები ძლივს-ძლიობით გადაარჩინეს მილიციონერებმა სიკვდილს და დაჭერილები წაიყვანეს. როგორც ამბობენ, შანტაჟისტები გამოქცეული ჯარის კაცები არიან.

◆ **განმარტება მილიციის შესახებ.** უკანასკნელ დღეებში თბილისში მომხდარი ჩხრეკის გამო, რაშიაც მონაწილეობდნენ ზოგიერთი მილიციონერები, თბილისის საგუბერნიო კომისარმა განმარტა, რომ ქალაქის მილიცია მხოლოდ ქალაქის თვითმართველობას ექვემდებარება და ამ უკანასკნელის განკარგულებით უნდა ხელმძღვანელობდეს. თუ რომელიმე დაწესებულებისათვის ანუ ორგანიზაციისათვის მილიციის დახმარება საჭირო იქმნება, ქალაქის გამგეობას უნდა მიმართონ. სახლების გაჩხრეკის ნება მილიციას არ აქვს, თუ ქალაქის გამგეობის რომელიმე წევრისაგან შემოწმებული ქაღალდი არ ექნება.

◆ **ნიხრი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ახალი ნიხრი დაამტკიცა, რომლის მიხედვით კრუშკა რძე ფასობს 25 კაპ., გადამდნარი ერბო გირვანქა 3 მან. 20 კაპ., ფუთი 120 მან., კარაქი გირ. 3 მან., ფუთი 112 მან., მარილიანი ერბო გირ. 2 მან. 80 კაპ., ფუთი 104 მან., გირ. ყველი ქართული 1 მან. 30 კაპ., გოლანდიური 2 მ. შვეიცარული 2 მან. 40 კაპ.

◆ **ახალი ჟურნალი.** ენკენისთვის 20-ს გამოვიდა პირველი ნომერი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის ჟურნალისა, რომელსაც ჰქვია „მოღვაწე“ („ტრუჟენიკ“).

◆ **საადმინისტრაციო ორგანიზაციები სასულიერო სკოლებში.** ქართულ საეკლესიო ყრილობის დადგენილებით საქართველოს სასულიერო სკოლებში უნდა მოეწყოს ადმინისტრატიული ცენტრები, რომელნიც მასწავლებლებს აიყვანენ და საერთოდ სკოლების საქმეებს გაუძღვებიან. ყველა ადმინისტრატიულ ცენტრები ექვემდებარებიან საეკლესიო ორგანოებს, რომელთა რიცხვი ორია, ერთი აღმოსავლეთ საქართველოში და მეორე დასავლეთში. აღმოსავლეთ საქართველოს სასწავლებლებში უკვე შესდგა საადმინისტრაციო ცენტრები: თბილისის სასულიერო სემინარიაში დანიშნული არიან დეკ. კ. კეკელიძე (რექტორი სემინარიისა) და ყველა ეხლანდელი ქართველი მასწავლებლები, გორის სასულიერო სასწავლებელში მ. ფხალაძე, თელავისაში ნ. მამისაშვილი და თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში ს. გორგაძე და ქნ ნ. თავდგირიძისა. თბილისის სასულიერო სასწავლებლის შესახებ დადგენილია, რომ იგი შეუერთდეს სასულიერო სემინარიას და ორივე ერთად გადაკეთდეს 8 კლასიან გიმნაზიად, რომელშიაც საღვთისმეტყველო საგნებსაც ასწავლიან ორ წელიწადს.

◆ **ეროვნული დღესასწაული მცხეთაში.** ღვინობისთვის პირველს, მცხეთობა დღეს, მცხეთის ტაძარში, წირვის დროს, მოხდება კურთხევა სრულიად საქართველოს კათალიკოსის მისი უწმიდესობის კირიონისა და ქუთათელ მიტროპოლიტის ანტონისა. იმავე დღეს, საღამოს ლოცვაზე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელდასხმულ იქნება ჭყონდიდის მიტროპოლიტად, ხოლო მეორე დღეს მოხდება მისი კურთხევა.

◆ **ახალი გიმნაზია.** სამოსწავლო ოლქის კომისარიატის ნებართვით თბილისის პირველ უბანში არსდება კერძო ქართული გიმნაზია. თხოვნებს მიიღებენ ყოველ დღე საღამოს 4—7 სათ. ყაზბეგის ქუჩაზე, სახლი № 18, ბინა 4.

◆ **მოსკოვის ქართველობა და ეკლესია.** მოსკოვში არსებულ ქართულ ეროვნულ ორგანიზაციათა აღმასრულებელმა კომიტეტმა სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობას დასაბუთებული პროტესტი გაუგზავნა ყოფილ ეგზარხოსის მიერ ყრილობაზე ქართული ეკლესიის საკითხის გაშუქებისა და და ბ. კოტლიარევსკის გამოსვლის გამო.

◆ **მილოვის მაღაზიის გადარჩენა დარბევისაგან.** ენკენისთვის 20-ს, დილით, საგუბერნიო სასურსათო გამგეობის განკარგულებით დაიბეჭდა მილოვის ფართლეულობის მაღაზია ავლაბრის ხიდთან. 10—11 საათზე მაღაზიასთან დიდძალი ხალხი მოგროვდა, მოუთმენლად რუსის დედაკაცები, რომელნიც მაღაზიის გაღებას თხოულობდნენ. რადგანაც მაღაზიას არავინ აღებდა, ბრბომ მაღაზიის კარების დალეწვა მოინდომა. მივიდა მილიცია, მაგრამ ხალხთან ვერას გახდა. გამოუძახეს საგუბერნიო სასურსათო გამგეობას, რომელმაც თავისი წევრი გ. დალაქიშვილი გაგზავნა მაღაზიასთან. საჭირო გახდა ჯარების მოყვანა, მაგრამ ხალხი არც ამას ერიდებოდა. ბ-ნმა დალაქიშვილმა და ქალაქის გამგეობის წევრმა ფირუმოვმა როგორც იქნა დააჯერეს ხალხი მაღაზია არ დაერბიათ.

◆ **პურის ახალი ტალონები.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა ახალი წიგნაკი შემოუშვა პურის მისაღებად. წიგნაკში ტალონი ოთხად იყოფება, ასე რომ პურის მიღება ფურნიდან ოთხჯერ შეიძლება დღეში. ტალონები საჭიროა რესტორანებში მოსადილეთათვისაც, რადგან რესტორანებში და საერთოდ სასადილოებში უტალონოდ პურს არავის მისცემენ. ძველი წიგნაკების ახლებზე შეცვლა სავალდებულო არ არის, მაგრამ ვისაც სურს, შეცვლა შეიძლება საუბნო სასურსათო კომიტეტებში.

◆ **სომხეთა ეროვნული კონფერენცია.** სომხეთა კონფერენცია დანიშნულია ენკენისთვის 27. განსახილველია: 1) საადმინისტრაციო საზღვრები და ერობის საკითხი; 2) სასურსათო საკითხი; 3) საერთაშორისო დამოკიდებულება; 4) კავკასიის საგანგებო კომიტეტისადმი დამოკიდებულება; 5) სკოლების ნაციონალიზაცია; 6) ადგილობრივ მთავრობის ორგანიზაცია; 7) ფრონტის გაძლიერება; 8) გამოქცეულთა საკითხი; 9) ეროვნულ ბიუროს ანგარიში; 10) მიმდინარე მომენტი და მიმდინარე საქმეები.

◆ **ხაზინადო კანტორის კომისრებად** საკათალიკოსო საბჭომ ამოირჩია: დეკ. ნ. თალაკვაძე და ქრისტ. კაპანაძე. ენკენისთვის 20-დან კომისრები საქმეების ჩაბარებას შეუდგნენ.

◆ **საბარგო გადასახადი.** რკინის გზით სამგზავრო სისწრაფით გაგზავნილ ბარგზე დაწესებული დროებითი გადასახადი გადაწყვეტილია ძალაში დარჩეს 1918 წლის ქრისტეშობის 31-მდე.

◆ **შაქრის მონოპოლია.** დრ. მთავრობის დადგენილებით შაქრის გაყიდვის, საზღვარ გარედ გაზიდვის და შემოზიდვის ნება მხოლოდ მთავრობასა აქვს. ჯერ-ჯერობით დაწესებულია ასეთი ფასები: შაქრის ფხვნილი 37 მ. 20 კ.-დან 57 მ. 20 კ.-მდე, თავი შაქარი 40—მ.-დან 60 მან.-მდე ფუთი. ჯარისა და მცხოვრებთა შორის შაქრის განაწილების გეგმა უკვე შემუშავებულია.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმოდგენების ამხანაგობის წრის მიერ წარმოდგენილი იქნება, შირვანზადეს დრამა „ნამუსისათვის“.

◆ **„ამირანი“** დღეს, 22 ენკენისთვეს პირველ გიმნაზიის შენობაში ქართველთა საგიმნასტიკო საზოგადოება „ამირანი“ განაახლებს მუშაობას. დასაწყისი 7 საათზე.

◆ **შემარიგებელი კამერები.** 1917 წლის მარიამობისთვის კანონის მე-37 მუხლის ძალით თბილისში უკვე შეუდგნენ 6 შემარიგებელ კამერის მოწყობას ბინის საკითხის ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებათა განსახილველად. რადგანაც არსებული ამ ხასიათის 12 კომიტეტი სრულიად შეუწყნარებელია მარიამობისთვის 5-ის კანონისათვის, ახალი არჩევნები აღარ მოხდება. შემარიგებელ კამერების წევრები უსასყიდლოდ იმუშავებენ, თავმჯდომარეებს კი დაენიშნებათ თვეში 300 მანეთი.

◆ **შვეციის სავიცე-კონსულო თბილისში.** როგორც ამბობენ, თბილისში არსდება შვეციის სავიცეკონსულო და ამ თანამდებობაზე მიწვეულია ვაჭრობა-მრეწველობაში კარგად ცნობილი ლ. მ. პეკარსკი.

◆ **ანჩისხატის ეკლესია** გამოცხადებულია საქართველოს კათალიკოზის მეტოქად („პოდვორიე“).

ერივანი

◆ **ქალაქის არჩევნები.** ქალაქის საბჭოს ხმოსნებად არჩეულ არიან: დაშნაკცუტ. 24, სოციალ-დემოკ. და ესერების ბლოკის 16, მუსულმანთა პარტ. 19 და სომეხთა სახალხო პარტ. 1 კაცი.

კავკავი

◆ **კარაულოვის განმარტებანი.** სახელმ. სათათ. წევრმა თერგის ყაზახთა ატამანმა კარაულოვმა კავკასიის ლაშქრის მთავარ სარდალს საპასუხო დეპეშა გაუგზავნა. დეპეშა შეიცავს კარაულოვის მიერ თერგის ყაზახებისადმი მოწოდების გამოცემის მიზეზთა განმარტებას და ჩვენებას კორნილოვის აჯანყების შესახებ.

თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელი

ამ სასწავლებელში წელს ბევრი საყურადღებო ცვლილება მოხდა: ყველა კლასში შემოღებულ იქმნა საგნების ქართულად სწავლება; არა ქართველი მოწაფეები სხვა სასწავლებლებში იქმნენ გადაყვანილი. ამის გამო ყოველ კლასში ადგილი განთავისუფლდა და მალე მისაღები ეგზამენებიც დაიწყება. მიღება შეიძლება მხოლოდ მოსამზადებელ კლასებში (უნცროსში და უფროსში) და I—VI კლასებში; მე-VII—VIII ე კლასში ეგზამენით არავინ მიიღება.

საეკლესიო კრების ქართლ-კახეთის დელეგატთა კრებამ, რომელსაც ეკუთვნის ეს სასწავლებელი, ენკენისთვის 18-ს, დაადგინა სასწავლებელს ამიერიდან ეწოდოს „თბილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზია“ და ამასთან ერთად მოახდინა ამ გიმნაზიის შტატის ხელახალი არჩევა: უფროსად არჩეულ იქმნა უწინდელივე უფროსი, **ქნ. ნინო თავდგირიძისა**, ხოლო დირექტორად—**ს. გორგაძე**. ამას გარდა კრებამ გამოჰყო ცალკე ამომრჩეველი ჯგუფი მომავალი საპედაგოგო საბჭოსი, რომელშიაც აირჩია: დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი, გერასიმე ს. იმნაიშვილი და გიმნაზიის უფროსი აღმზრდელი ელენე კიზირიასი, რომელთაც, უფროსთან და დირექტორთან ერთად, ამ თვის 20-ს მოახდინეს გიმნაზიის სრული შტატის არჩევნები. არჩეულ იქმნენ ყველა ქართველი აღმზრდელ-მასწავლებელნი, რომელნიც დღემდე იქ მსახურებდნენ; ამათ გარდა ახლად მოწვეულ იქმნენ: საზოგადო და რუსული ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად ს. დანელია; ქართულის ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლად ს. ლომია; საზოგადო და რუსეთის ისტორიისა—ივ. გველესიანი; ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიისა—ეკატერინე ყიფშიძისა.

იმავე კრების დადგენილებით ამ გიმნაზიაში წელს პანსიონი აღარ იქნება; სტიპენდიანტები ფულს ხელზე მიიღებენ. კრებამვე დაადგინა გადიდებულ იქნას სწავლის ფულიც, სახელდობრ: მოსამზადებელ კლასებში, განურჩევლად წოდებისა, ყველა იხდის ექვს-ექვს თუმანს წელიწადში, I—IV კლასებში რვა-რვა თუმანს, ხოლო მეხუთიდან მერვე კლასებში ათ-ათ თუმანს.

მისაღები გამოცდანი საეპარქიო გიმნაზიაში დაიწყება ენკენისთვის 25-ს, დილის 9 საათზე, ხოლო წესიერი მეცადინეობა 2 ოქტომბრიდან.

ქალაქთა წარმომადგენელთა კრება

ენკენისთვის 21-ს, დილის 1 საათზე, ქალაქის დარბაზში დაიწყო კავკასიის ქალაქებისა და ქალაქთა კავშირის დელეგატების კრება. გარდა სხვა და სხვა დაწესებულებისა კრებაზე მოპატიჟებული იყო 44 ქალაქი, გამოცხადდა კი სულ 27 დელეგატი, რომელთაგან 16 კაცი ქალაქების წარმომადგენელნი არიან. სხვათა შორის წარმომადგენლები გამოუგზავნიათ: ბათომს, ქუთაისს, ფოთს, ხონს, გორს, თელავს, სიღნაღს, გუმბრის და ჩრდილო კავკასიიდან მხოლოდ კავკავს. კრება გახსნა თბილისის ქალაქის მოურავმა ნიკო ელიავამ და მიესალმა მას. შემდეგ ბ-ნმა ელიავამ წინადადება მისცა კრებას თავისი პრეზიდიუმი აერჩია. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ქუთაისის მოურავი ბ-ნი კ. ლანდიაშვილი, მის ამხანაგად გორის მოურავი ს. რობაქიძე და მდივნად თბილისის ქალაქის საბჭოს მდივანი ვ. ხახანაშვილი. განსახილველ საგანთა შესახებ აზრების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება საღამოსათვის გადაიდო. პირველად კრება მოისმენს თბილისის ქალაქის გამგეობის წევრის ბ-ნ სმირნოვის მოხსენებას საფინანსო საკითხების შესახებ.

სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა სალიკვიდაციო კომისიის დებულება.

თბილისის ქალაქის საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ზრდა და სალიკვიდაციო კონტროლის საჭიროება, როგორც მშრომელთა ინტერესების დაცვაც, დაადგინა:

1) თბილისის ქალაქის გამგეობასთან მოეწყოს სალიკვიდაციო კომისია, რომელშიც შევლენ: სამ-სამი წარმომადგენელი ქალაქის საბჭოდან, სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურე კავშირიდან და სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატების საბჭოდან; თითო წარმომადგენელი გუბერნიის სასურსათო კომიტეტიდან, ქალაქთა კოოპერატივების კავშირიდან და პროფესიულ კავშირთა ცენტრალ ბიუროდან.

2) კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ქალაქის საბჭო აირჩევს.

3) ამა თუ იმ წარმოების ლიკვიდაციის გამო წარმოების პატრონს სათანადო განცხადება შეაქვს სალიკვიდაციო კომისიაში. განცხადების მიღებისამებრ კომისია არკვევს ლიკვიდაციის მიზეზებს.

4) თუ კომისია საფუძვლიანად სცნობს ლიკვიდაციის მიზეზებს, იგი გადაუწყვეტს წარმოების მოსამსახურეთა და მუშების ხელფასს.

ამ საქმეში კომისია იხელმძღვანელებს სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა მე 5 ყრილობაზე მიღებულ ხელფასის ნორმებით. ვისაც წელიწადზე ნაკლები უმსახურნია, მიეცემა არა ნაკლებ სამი თვის ჯამაგირისა; ვინც ერთ წელზე მეტი იმუშავა—მთელი წლის ჯამაგირი. ამასთან ექვსი თვის და ექვსი თვეზე მეტის სამსახური მთელ წლის სამსახურად უნდა ჩაითვალოს. თვიურ ჯამაგირად ჩაითვლება ძირითადი ჯამაგირი დამატებითი ჯამით.

5) თუ დამტკიცდა, რომ ლიკვიდაცია ბოროტ განზრახვით მოახდინეს—კომისიას შეუძლია წარმოების ჩამორთმევა. ამის გამო მას შეუძლიან დანიშნოს საგანგებო პირი და საგანგებო კომისია, ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით.

6) კომისიის ყველა გადაწყვეტილება ქალაქის გამგეობის საშუალებით უნდა სრულდებოდეს.

ეს პროექტი თბილისის ქალაქის საბჭომ დაამტკიცა 1917 წ. ენკენისთვის 18-ს და იურიდიულ კომისიას გადასცა სარედაქციოთ.

ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტ. დადგენილება

ენკენის 14, თბილისში გაიმართა ზაფხულის შემდგომ პირველი კრება ეროვნულ-დემოკრატ. სტუდენტთა თბ. ორგანიზაციისა, რომელმაც ითათბირა დღევანდელი მომენტის შესახებ და დაადგინა: „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელი მომენტის უაღრეს სიმწვავესა და მის დიდ მნიშვნელოვნებას საქართველოსათვის იმ გარემოებას, რომ დიდი რუსეთის მმართველობა უცნაურ მოქმედებას იჩენს ჩვენდამი, რომ ამასთანავე კონტრრევოლუციის შხამი დაღუპვას გვიქადის და, რომ მოახლოვებული ზავი და საერთაშორისო კონფერენცია დიდ მოვალეობას გვაკისრებს საქართველოს შვილთ,—უპირველეს საჭიროებათ მიგვაჩნია მივმართოთ საზოგადოდ ქართველ სტუდენტობას კერძოდ კი ჩვენი პარტიის ორგანიზაციით დავალებული, რათა არ დასტოვონ ასეთ დროს თავისი სამშობლო და არ გადაშორდნენ იქ, საიდანაც საქართველოს შველა არც სიტყვით და არც საქმით არ შეიძლება.

ამავე დროს მოვითხოვოთ უკვე რუსეთში მყოფ სტუდენტობისაგან მოჰხედონ გაჭირვებულ სამშობლოს, რომლისათვისაც ერთი კაცის ძალაც ძვირადა ჰღირს.

დაე, ყოველი ქართველი სტუდენტი დაფიქრდეს თავის მოვალეობაზე და მოერიდოს სამშობლოს მოღალატის სასირცხო სახელის შეძენას...

კრების თავმჯდომარე
მიხ. ხერხეულიძე.

ბინის ახალი კანონი*)

4) თუ ბინა გათბობით იყო დაქირავებული—ნამდვილ ქირად ითვლება მე-3-ე მუხლში აღნიშნული ფასი, რომელსაც უნდა გამოაკლდეს მე-13-ე მუხლში აღნიშნული გათბობის ღირებულება.

5) თუ ბინა 1914 წლის მკათათვის 19-ს გაქირავდა პირველად—ნამდვილ ქირად პირველ თვეში გადახდილი ქირა ითვლება.

თუ ბინა ნაქირავებია ახალ შენობაში, სადაც ბინების გაქირავება 1914 წლის მკათათვის 19-მდე ხდებოდა—ამ მუხლში აღნიშნული ნამდვილი ქირა 25 პროც. უნდა გადიდდეს.

6) მე-3-ე მუხლის დადგენილება მოქირავემ არ უნდა გამოიყენოს იმ ქირის დასამცირებლად, რომელსაც იგი ამ დადგენილების მოქმედებაში შესვლის დროს იხდიდა ისეთ ბინაზე, რომლის ქირაც 1914 წლის მკათათვის 19 სათვის და ისეთ ადგილებისათვის კი, სადაც ეს დადგენილება მოქმედებაში შევიდა 1916 წლის მარიამობისთვის 27-ს დადგენილების მოქმედების შესვლის დროს—აღემატებოდა (გაუთბობლად) დადგენილებით დამტკიცებულ ქირას იმ ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც პირდაპირ გადასახადთა წესდების 836 მუხლის შენიშვნაში მოთავსებულ სიით (იხ.—კანონთა კრებული მე-V-ე ტომი) ეთვლებიან I კლასს—2,400 მან, მე-II-ეს—1.800, მე-III-ეს—1000 მან. და დანარჩენ ადგილებში, რომლებიც პირდაპირ გადასახადს იხდიან 600 მან. ამ დადგენილებით უნდა ახელმძღვანელონ, როგორც ძველ მოქირავესთან ხელშეკრულების გაგრძელებაში, ისე ბინის მოქირავის ხელში ჩაბარების დროს.

7) მე-2-ე და მე-5-ე მუხლებში აღნიშნულ ქირას შეიძლება მოემატოს: ა) იმ შემთხვევაში, თუ მოქირავეს მეეზოვე და შვეიცარი ემსახურებიან. რა თქმა უნდა ქირას მოემატება იმდენი, რაც ამ განსაკუთრებულ მოსამსახურობისათვის მიეცემათ მეეზოვე-შვეიცარს. ბ) იმ შემთხვევაში, თუ 1914 წლის მკათათვის 19-დან ოთახში რამე გადააკეთეს ან შეასწორეს, ქირას მოემატება დანახარჯის მიხედვით იმდენი, რაც 1916 წლის მარიამობისთვის 27-ის დადგენილებით (მე-9-მუხლი) არ იქმნა ანაზღაურებული (კანონთა კრებული 1863 წ.) და გ) ნაგავის, უწმინდურების და თოვლის გატანაზე მომატებულ გასავლის ანაზღაურებლად და აგრეთვე—წყლის მოტანაზე თუ ეზოში წყალი არ აქვთ.

8) მე-7 მუხლის პირველ ორ პუნქტში მოხსენებული ქირის მომატება უნდა ხდებოდეს იმ დამატებით გასავლის ფარგლებში, რომელიც გამოწვეულია მეეზოვეთა და შვეიცრების ქირით დაყენებით, ეზოდან ნაგავის, უწმინდურების და თოვლის გატანისა და წყლის მოტანის ფასის გადიდებით 1915 წლის პირველ იანვრისთვის და ბინაზე ახალ ქირის შემოღების დროს. ხსენებული დამატებითი გასავალი უნდა განაწილებულ იქმნას ყველა იმ მდგმურთა შორის ვინც მე-7 მუხლის პირველსა და მესამე პუნქტაში ჩამოთვლილ სარგო საქმეებით სარგებლობდა. განაწილება უნდა მოხდეს წლიურ ქირის მიხედვით. ვინც ზემოხსენებულ სარგო საქმეებით არა სარგებლობს, მას რა თქმა უნდა, დამატებით გასავლის ანაზღაურებაში წილი არ ექნება, ე. ი. ქირა არ მოემატება.

9) მე-7-ე მუხლის პირველსა და მესამე პუნქტში ნაჩვენებ ხარჯთა გადიდების გამო ქირის მომატება შეუძლიან თვით ქალაქის გამგეობას ქირაზე განსაზღვრულ პროცენტების მომატებით მე-8-ე მუხლში მოყვანილ წესების მიხედვით.

10) ოთახის გადაკეთებაზე დახარჯული ფულიდან ახალ მდგმურს ერთი თვის ქირაზე მეტი არ უნდა გადახდეს, თუ ხელშეკრულობით სახლს ორ წლამდის მაინც ქირაობს. იმ შემთხვევაში კი თუ იგი სახლს ნაკლებ დროით ქირაობს—ნახევარი თვის ქირა უნდა გადახდეს. ამ გადასახადს მოქირავე იხდის ნაწილ-ნაწილ ქირასთან ერთად. თუ ბინა განსაზღვრულ დროითია ნაქირავები ყოველ თვის თავს ზემოხსენებულ გადასახადის ერთ მეთორმეტედს უნდა იხდიდეს მოქირავე. თუ სადგომს აუცილებლად ესაჭიროებოდა გაახლება იმდენად, რომ შიგ დგომა შეუძლებელი ყოფილიყო—მაზე დახარჯული ფული მოქირავეს არ გადაეხდევინება.

11) მე-7-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის და მე-10-ე მუხლის ძალით შემდგომ მდგმურთა ქირას არ უნდა ემატებოდეს იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ დადგენილებაში ნაჩვენები ხარჯები წინა მდგმურებმა აანაზღაურეს.

12) თუ ბინა გათბობით გაქირავდა, მოქირავემ გათბობის ფასი მე-13-ე და მე-17-ე მუხლებში მოყვანილ წესების მიხედვით უნდა გადაიხადოს.

13) 1914 წლის მკათათვის 19 ფეჩებით ფასად ამ დროისთვის გადახდილ გათბობის ქირის 15%, ჩაითვლება, ხოლო ცენტრალურ გასათბობი 12%, თუ ცენტრალ გასათბობად შეშა იხმარება, ქირას ემატება 9%; პლიტით გათბობაზე 3%.

14) გასათბობ მასალის ფულს მხოლოდ მაშინ მიუმატებს სახლის პატრონი, თუ მოქირავე იმდენ შეშასა ხმარობს, რომ მისი ფასი მე-13-ე მუხლში ნაჩვენებ ფასს აღემატება. ხსენებული ფასი ასე უნდა გამოირკვეს: უნდა შეფასდეს ის სათბობი მასალა, რომელსაც მდგმური ხმარობს, იგი უნდა შეედაროს მოქირავესაგან სათბობ მასალაში გადახდილ ფულს ანუ იმ ფასს, რომელიც არსებობდა ბინაზე ახალ ქირის შემოღების დროს. თუ წინდაწინ განსაზღვრული ფული სათბობ მასალისა ნაკლებია—ბინის ქირის გადახდის დროს უნდა გადიხადონ დამატებითი გადასახადი მოხმარებულ გასათბობ მასალის კვალობაზე. ბინის გამქირავებელს გასათბობ მასალის ფასის ყველა სამ თვეში ერთხელ მიმატების უფლება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული მასალა თანდათან ძვირდება. იმ შემთხვევაში თუ მასალა თანდათან გაიაფდება მოქირავეთ უფლება აქვს ფასის დაკლება მოსთხოვოს გამქირავებელს იმის და კვალობაზე თუ რამდენად დაიწია გასათბობ მასალის ფასმა.

ბინების და სხვა სადგომის ქირის შემოღების შესახებ.

15) ქალაქის საბჭოებზეა მინდობილი გამქირავებელთათვის სადგომ ოთახებში მინიმალურ ტემპერატურის დამტკიცება. იგი ყოველ შემთხვევაში რეომიურის 13° არ უნდა აღემატებოდეს.

16) ცენტრალ გათბობის დანახარჯთა გაძვირება იმდენად ხდება, ანგარიშ გასაწევი მდგმურთათვის, რამდენადაც მე-13, მუხლში ნაჩვენები ჯამი და გათბობის ნამდვილი ხარჯი განირჩევიან. გათბობის ხარჯს ეთვლება აგრეთვე გამთბობ ფასების ხარჯი. ასეთ შემთხვევაში მომატებული ხარჯი წლიურ ქირის კვალობაზე უნდა ნაწილდებოდეს ყველა მდგმურებს შორის ვინც კი გათბობით სარგებლობდნენ.

17) ბინის პატრონს შეუძლიან ფეჩებისა და პლიტებისათვის სათბობი მასალა აღარ მისცეს მოქირავეებს შემდეგ თვეებში. ასეთ შემთხვევაში მან უფასოდ უნდა დაუთმოს იმავე ეზოში შეშის შესანახი ადგილი. შეშა ნახევარ წლის საგძალს არ უნდა აღემატებოდეს. ბინის პატრონი მოვალეა ქირაც დაუკლოს თუ სათბობ მასალას აღარ მისცემს. (იხილეთ 13—16 მუხლები), მოქირავეებს უფლება აქვს რომ შეშის საწყობი მეორე სართულზე მაღლა არ მისცეს.

18) მე-17-ე მუხლში მოყვანილ შემთხვევის გარდა—გამქირავებელს უფლება არა აქვს, რომ ბინის ახლად გაქირავების გამო როგორც ძველ მოქირავეებს, ისე ახალს, მოაკლოს ის სარგებლობა-სამსახური რომლითაც უნდა ესარგებლათ. იმ შემთხვევაში კი თუ მოქირავეს მოაკლდა ხელშეკრულებაში მოხსენებული სხვა და სხვა სამსახური თუ სარგებლიანობა, გამქირავებელი მოვალეა ქირას მოუკლოს.

19. ყავლის გასვლაზე ბინის დამცლელ მოქირავემ ამის შესახებ წერილობით უნდა მიმართოს გამქირავებელს, ყავლის გასვლამდე ორი კვირის წინ; ხოლო თუ ბინა უვადოთ არის ნაქირავები—ქირის გადახდის უახლოეს ვადის ორი კვირით წინ, წინააღმდეგ შემთხვევაში—ბინა კვლავ გაქირავებულად ჩაითვლება ძველ პირობებში 2—19 მუხლებში მოყვანილ ცვლილებებით ბინაზე უარის განცხადებამდე. უარი მოქმედებაში ორი კვირის შემდეგ შედის.

20) მე-2—მე-19, მუხლების ძალით პირობების შეცვლის მსურველმა მოქირავემ თავისი სურვილი გამქირავებელს უნდა განუცხადოს. ყოველ შემთხვევაში განცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში ბინის ძველ პირობებით სარგებლობა შეუძლიან.

21) მე-19 და მე-20 მუხლში აღნიშნულ განცხადებათა წარდგენა შეიძლება უსაშუალოდ, კონტრ-აგენტების, ნოტარიუსის (ანდა მის თანაშემწეების

---

*) იხ. „საქართველო“ № 203.

ადგილობრივ კომისარიატის ანდა მილიციის საშუალებით.

22) გამქირავებლის შეუთანხმებლად ქირის გადიდება არ შეიძლება, თუ ბინა გამქირავებლის, ან მის ოჯახის წევრთა იქ არ მყოფობის დროს გაქირავდა ან და თუ ბინა გამქირავებელს თვითონ სჭირდება.

ამ დადგენილების მოქმედებას ყველი ბინის დაცლიდან ერთი წლის შემდეგ გადის.

ქირის გაგრძელება გამქირავებლის სურვილის წინააღმდეგ არ შეიძლება აგრეთვე სახელმწიფო, საქალაქო თუ საერობო შენობაში, თუნდაც ხსენებული ბინა რომელიმე სამთავრო ანუ საზოგადო დაწესებულებისათვის იყოს საჭირო.

23) გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაქირავების ხელშეკრულების გაუქმება და მოქირავეს გასვლა თუ დამტკიცებს: რომ 1) მოქირავემ ქირის არსებითი პირობები დაარღვია; 2) მოქირავე თავის ყოფა-ქცევით არღვევს იმ პირობებს, რომლებიც საჭიროა ერთ სახლში, ერთ ბინაზე საცხოვრებლად.

24) ეს დადგენილება შეეხება აგრეთვე მოქირავეთ მიერ გაქირავებულ ბინებს.

25) თუ მოქირავე პირველ—22 მუხლში ჩამოთვლილ პირობებში გაქირავებს თავის ბინას ავეჯით—ამ უკანასკნელის ქირა არ უნდა აღემატებოდეს 100% იმ ქირისას, რომელსაც თვით მოქირავენე იხდის თან ხმად დადგენილებისა გაუთბობლად. დანარჩენ შემთხვევებში ავეჯის ხმარების გამო ქირის მომატება არ შეიძლება, ტელეფონით, ელექტრონის სინათლით და შინ მოსამსახურის მომსახურებით სარგებლობაზე—ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტი არ უნდა ეხდევინებოდეს მცხოვრებს, რასაც თვით მოქირავეს უღირს ყველა ეს.

26) 1—25 მუხლთა დადგენილება შეეხება ოთახებს, ღამის გასათევ ადგილებს და კუთხეების გაქირავებას შემდეგ 27—31 მუხლების გამოყენებით.

27. ყოველ შემთხვევაში ერთი ოთახის ქირა არ უნდა აღემატებოდეს 60 პროც. და ორი ოთახის ას-პროც. იმ ქირისას, რომელსაც თვით ოთახების გამქირავებელი იხდის თანახმად ამ დადგენილებისა გათბობით და სხვადასხვა სარგებლობით ნაქირავებ ოთახებში იმ ვადაზე რომლისთვისაც დაქირავებულია. ტახტებისა და კუთხეების (არა უმეტეს ათისა თვითეულ ოთახში) ქირა არ უნდა აღემატებოდეს 100-ს პროც. იმ ზომით ნაჩვენებ ქირისას, რომელსაც თვით ოთახის მოქირავენე იხდის.

28) იმ შემთხვევაში, თუ ქირავდება ორ ოთახზე მეტი ან და ათ ოთახზე და კუთხეზე მეტი—მათი ქირა ბინებზე შეთანხმებულ კამერამ უნდა დაადგინოს. სადაც ეს კამერა არ არის, ბინის ქირის გადაწყვეტა ეძლევა ქალაქის გამგეობას. ქირა არ უნდა აღემატებოდეს იმ ქირის 100-ს პროც. რომელსაც თვით ოთახის გამქირავებელი იხდის გათბობით და სხვადასხვა სარგებლობით ნაქირავებელ ოთახებში. იქ სადაც 1916 წ. მარიამობისთვის 27-ის დადგენილება შევიდა მოქმედებაში, იქ ქირა არ უნდა იყოს იმ ქირაზე ნაკლები, რომელსაც ამ დადგენილების თანახმად იხდიან ხსენებულ ოთახების დამქირავებელნი.

(დასასრული იქნება)

საქართველოს ტყეები და მათი მომავალი

(დასასრული)

აქედან ჩანს, რომ თუ ტყეების შემცირება საჭირო იქნება, რომ მოსახლე ხალხს მომავლის საზრუნავ ნათესი მიწა, იმ შემთხვევაში შეიძლება მოიჭრას ტყეები სხოლოდ სწორ ადგილებზე, ბოლოში იქნება იგი თუ მთაში. რაც შეეხება იმას, რამდენი ტყიანი ადგილი შეიძლება გადავიდეს მშრომელ ხალხის ხელში, ეს ამ თავითვე ძნელი გადასაწყვეტია: საჭიროა ამისათვის მოხდეს შესაფერი გამოკვლევა აგრონომებისა და ტყის მცოდნეთაგან. სოფლისათვის ძალზედ საჭიროა საძოვარი ადგილები. რადგანაც ჩვენ სოფლებს მრავალ შემთხვევაში შესაფერი საძოვრები არა აქვთ, ამიტომ სოფელი თავის საქონელს ტყეში რეკავს საძოვროთ. ტყეს საქონელი ძალიან აფუჭებს და თუ ჩვენ მხოლოდ ტყის ინტერესები გვექნება სახეში, საქონლის ძოვნა უნდა აკრძალოს. მაგრამ ხალხი ისეა შეჩვეული ტყეში საქონლის ძოვებას, ისე უჭირს საძოვარი ადგილები, რომ ამის აკრძალვა სრულიად შეუძლებელია. ამიტომ საძოვრის საქმე ისეთ კალაპოტში უნდა ჩადგეს, რომ საქონელმა რაც შეიძლება ნაკლებ ავნოს ტყეს. მეტის მეტად საზარალოა საქონლის შერეკა ახლად ზრდა ტყეში, რომელიც 5—10 წლისაზედ მეტი არ არის. როცა ტყე აიყრება, აიწევს საქონლის სიმაღლეზე ზევით (ე. ი. როცა საქონელი ვეღარ შესწვდება ზემოთ ტოტებს და კენწეროს), ამის შემდეგ ტყეს საქონლისა აღარ ეშინიან. მაშასადამე ძალზედ შემცირდებოდა საქონლისაგან ტყის ზიანი, რომ თვითონ ხალხმა აკრძალოს ახალგაზრდა ტყეში საქონლის შერეკა. პირველ ხუთ-შვიდ წლამდის მაინც. გარდა ამისა საქონლის ზიანი იმდენათ უფრო მეტია, რამდენათაც ერთ და იმავე ადგილზედ მეტი საქონელი სძოვს და რაც უფრო ნაკლები საძოვარი ბალახია ტყეში. სხვა და სხვა ჯიშის საქონელი ერთნაირად როდი აფუჭებენ ტყეს. ტყისათვის მეტის მეტი საშიშოა თხა, ვიდრე ცხენი, ძროხა და სხვა. უნდა ვეცადნეთ, რომ მშრომელმა შეიგნოს ტყის მნიშვნელობა, რომ მეურნეული და არა მტრის თვალით უყუროს მან ტყეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გონივრული ტყის მოვლა. რამდენად მოსაზღვრული ვართ, რომ დიისეულად უპატრონოთ საქართველოს თვალგადაუწვდენელ ტყეს, იმ ძვირფას განძს, რომელიც, იმედია, შემდეგში ჩვენი ერის კეთილდღეობის წყაროთ უნდა შეიქნეს? სიმართლეც უნდა ვსთქვათ, რომ ვერა ვართ მომზადებულები; ამისათვის არც ტყის მცოდნე ხალხი გვყავს და არც საჭირო კაპიტალი გვაქვს. მარტო სახელმწიფო ტყეების მოსავლელად დაგვჭირდება 80—100 მოხელე, რომელსაც სპეციალური უმაღლესი სწავლა გათავებული უნდა ქონდეს. თუ ერის ხელში გადავა დანარჩენი კერძო ტყეებიც, მაშინ 250—300 კაცი დაგვჭირდება. ჩვენ კი თითქმის სულ არა გვყავს სატყეო დარგის მცოდნე პირები. აქამდისინ ქართველი ახალგაზრდობა გაურბოდა სატყეო ცოდნას, რადგანაც მთავრობა თითქმის სრულიად არ ნიშნავდა ქართველებს, როგორც «ტუზემცებს» საქართველოში. სამსახური კი ჩრდილო რუსეთში, ან ციმბირში, სადაც მოუხდებოდა ცხოვრება ტყის მოხელეს, (რადგანაც უმეტესი ტყის მასსივი იმ ადგილებშია), რასაკვირველია, ქართველ კაცისათვის იმდენად ხელსაყრელი არ იყო. ამას იქით, საჭიროანი არიან საქართველოს ტყეებისათვის ქართველი მოხელეები*) ამიტომ სასურველია რუსეთში და საზღვარ გარეთ სატყეო სტიპენდიები დაინიშნოს, რომ მოემზადნენ საქართველოს ტყეებისათვის მცოდნე პირნი.

სწორი ტყის ექსპლოატაციისათვის ცოდნის გარდა საჭიროა კაპიტალი. ამ კაპიტალით უნდა გავიყვანოთ გადასატანი რკინის გზები, მიუვალ ტყეებში საჭიროა ხე-ტყის გადამტანი მანქანების შემოღება და მრ. სხვა. თუ ჩვენ ტყეებს მივაწვდით ცოდნას და კაპიტალს, ამით გავიჩენთ კარგ და მუდმივ შემოსავლიან წყაროს. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი მხარე მდიდარია ტყეებით, რომ საქართველოს მეტი ტყე აქვს ვიდრე პრუსიას, რომ ვაანგარიშოთ შემოსავალი იმდენი კი არა, რამდენიც პრუსიის ტყეებს შემოაქვთ—ეს ჩვენთვის მეტის მეტი შორს და მიუწვდომელ მაშტაბათ უნდა ჩავთვალოთ, რომ ავიღოთ დასავლეთი და სამხრეთი რუსეთის ტყის შემოსავალი დავინახავთ, რომ დესეტინა 5—10 მან. მეტს იძლევა. ამოდენა შემოსავალი არც ისე დიდია, რომ ჩვენმა ტყეებმა არ მოგვცეს, ახლო მომავალში თუ კი გავაძლიერებთ სწორ ექსპლოატაციას. ამის კვალობაზედ ყოველ წლივ საქართველოს ტყეებმა უნდა ხუთმეტი მილიონ მანეთამდის შემოსავალი მოგვცეს.

ამით ვათავებთ ჩვენ წერილს. უფრო დაწვრილებითი ჩვენი ტყეების აღწერა შორს წაგვიყვანდა. ჩვენ სრულიად არ შევეხებივართ ტყის დიდ ესტეტიურ და გიგიენიურ მნიშვნელობას. ვეშინიან, რომ ისეც თავი მოვაწყინეთ მკითხველს. ჩვენი სურვილი იყო მკითხველთ მაინც შევეხებოდით სხვა და სხვა სატყეო კითხვებს, რომლებიც ახალმა ცხოვრებამ წამოაყენა ჩვენ წინ და რომლებსაც ასე თუ ისე ჩვენი საზოგადოება მხარს ვერ აუქცევს.

ქ. ხარკოვი.

ს. ქურდიანი.

---

*) ხარკოვის იგლისის სატყეო კრებაზედ გადასწყდა, რომ ხარკოვის გუბერნიაში მოხელემ უკრაინული უნდა იცოდეს. უპირატესობა ადგილობრივ უკრაინელს მიეცემა. თუ რუსისათვის უკრაინაში საჭიროა უკრაინული ენის ცოდნა, მაშ რამდენათ უფრო საჭირო უნდა იყოს ქართული ენის ცოდნა საქართველოში მოხელეთათვის?

კორესპონდენცია

ძველი ათონის მთა
და
ქართველნი მამანი*)

პატივცემულნო მკითხველნო და მოღვაწენო ქართველთა ერის ცხოვრებისათვის და წარმატებისათვის აწ მეც გაუწყოთ ერთი ჩემდამო რწმუნებული საქმე. მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს, რომ გაუწყოთ და თქვენც ვალდებული ბრძანდებით, დაუყონებლივ შეუდგეთ საქმის წარმოებას და კეთებას, ვინაიდგან დრო ამნაირად გვავალებს. ყოველთა ისტორიკოსთა და მკვლევართა და ნასწავლთა ქართველთა კაცთა იციან თუ რა დიდებული დიდი სიმდიდრეა ქართველთა ერისათვის ქონებრივად და ისტორიულად ძველი ათონის მთა, რომელიც არის აღშენებული 980 წლებში ქართველთა მამათაგან, იოანე, ექვთიმე, გაბრიელი, და გიორგისაგან, რომელთა ღვაწლებისით მთაწმინდელნი ქართველნი მამანი, მამათა თავის აღშენებულ მონასტერს უწოდეს სახელად ქართველთა ივერიის მონასტერი, ვინაიდგან იყვნენ ივერიელნი, ტომით ქართველნი, რომელიც შეადგენს ქართველთა ერის საკუთრებას ყოველნაირი ისტორიული საბუთებით და გამოკვლევით 1866 წლიდგან გამოდევნილ იქმნენ ქართველნი მამანი ჩვენი დიდი ივერიის მონასტრისაგან ბერძენთა მამებისაგან და დაბინავებულ იქმნენ მონასტრის ახლოს წმ. ილია წინასწარმეტყველის კელიაში, სადაც სამი კაცის მეტი ვერ მოთავსდებოდა ქართველთა მამათა რიცხვი კი მეტს შეადგენდა, ქართველთა მამებს მეტი ბინა არსად მოეპოვებოდათ, საცხოვრებლად და სამლოცველოთ და ჩვენს დიდ მონასტერში ბერძენთა მამათა გარდაწყვეტილებით ყოვლად შეუძლებელი იყო ქართველების მიღება, ამნაირი უწყალო მდგომარეობაში ჩავარდნილნი ქართველნი მამანი დიდად დაფიქრდნენ, ასე რომ უეჭველად აუცილებლად ქართველებს დაეკარგებათ ჩვენი ივერიის მონასტერი უფლებრივად და ქონებრივად და სამუდამოდ დაიუფლებენ ბერძნის ბერები. ამნაირად ბევრი ბჭობის შემდეგ გამოიტანეს განაჩენი, რომ დაცულ იქნეს ძველი ივერიის ათონის მთაზედ ქართველთა მონასტრის ფლობა და ინტერესები ამისათვის საჭიროა არის ქართველების ერთ ადგილზედ შეკრება და დაბინავება და ბერძნის ბერებისათვის სიმხნით და მტკიცედ წინააღდგომა გამოეცხადებინათ მათი უწესობა, რომელიც უსამართლოდ ვექმნენით გამოდევნილი ქართველნი მოღვაწენი ჩვენი ივერიის მონასტრისაგან ამისათვის საჭიროდ სცნეს ჩვენი ივერიის მონასტრის ახლოს აუცილებლივ დაბინავება და მოპოვება ადგილისა რითაც უნდა დაჯდომოდათ. შესყიდვით მართლაც მონასტრის დასახლოებით ხუთას ფეხის ნაბიჯზედ ღირჩიეს ღირს შესანიშნავი ადგილი ნამონასტრალი წმ. მოციქულისა იოანე მახარობელისა და ღვთისმეტყველისა ძველად მამათა ჩვენთა აღშენებული, სადაც ყოფილიყო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი სალვთისმეტყველოსა. ესეც იცოდნენ ქართველ მამებმა, რომ ამ ადგილს ბერძნის ბერები არა გზით არ დაუთმობდნენ, მაგრამ ქართველები დროს უყურებდნენ და მოხდა კიდეც. ერთხელ იქმნა დიდი ცვლილება ივერიის მონასტერში შემოსავლიან ადგილებში გასაგზავნად სხვა და სხვა პირებისა სხვა და სხვა ადგილზე, წავიდნენ კიდეც, მხოლოდ მონასტერში დარჩა ორი არქიმანდრიტი ყოველივე მონასტრის საქმეების საწარმოებლად და გამგებლად სხვა ბერების თანაშეწევრობით ქართველებს გაუღიმა ბედმა ეს ორი არქიმანდრიტი კარგად უყურებდნენ ქართველ მამებს და მეგობრობდნენ კიდეც. ამ დროს ქართველ მამებმა დატრიალდენ, გამოიღეს ხელი, იშოვეს სამი ათასი მანეთი და შეამზადეს დიდი საჩუქარი მიგიდნენ მონასტერში ზემოხსენებული ადგილის შესყიდვისათვის. მრავალი ხვეწნისა და თხოვნის შემდეგ დიდის გაჭირვებით დეთანხმდნენ ბერძნის არქიმანდრიტები ქართველ მამებს ადგილის შესყიდვის შესახებ. მაშინვე ქართველებმა გააკეთეს ადგილობრივი ნასყიდობის პირობები და დაბინავდნენ ზემოხსენებულ შესყიდულ ადგილებში და ააშენეს შენობები და ეკლესია ქართველთა მამების სამლოცველოდ და შეკრიბნენ ქართველნი მამანი ორმოცამდე; მაშინ ქნეს ქართველებმა კრება, მრავალის ბჭობის შემდეგ გამოიტანეს გარდაწყვეტილება ამნაირი: ძველი ათონზედ მყოფთა ქართველთა მამათა აღთქმა და ანდერძი დასდევს, რომ ამიერიდგან ჩვენ მიერ დაცულ იქმნეს ძველი ათონის ქართველთა ივერიის მონასტრის ფლობა და ინტერესები ქართველთა ერის სასარგებლოთ და გამოუცხადეს ივერიის მონასტრის ბერძნის ბერებს მკაცრი სიმხნე და სიმტკიცე ყოვლად შეუძლებელია, არასდროს არ დავითმობთ ჩვენ ქართველნი მოღვაწენი ბერები ჩვენს ივერიის მონასტრებსა, რაც ღონე და ძალმომრეობა იხმაროთ ჩვენზედ. არაფრით არ შეგვშინდებითო; ეს პასუხი რომ მიიღეს ბერძნის ბერებმა ქართველ მამებისაგან დიდად დაფიქრდნენ და გარდასწყვიტეს ერთხმად ქართველების გამოდევნა ძველი ათონის მთისაგან და მათი შესყიდული ადგილის უკანვე დაბრუნება. ყოველი ძალა და ღონე იხმარეს ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ბერძნის ბერებმა ქართველთა მამების გამოდევნისათვის ძველი ათონისაგან, მაგრამ ვერა გააწყვეს რა, მხოლოდ მიაყენეს ჭირის და იჭირობების და განსაცდელის დამთმენი ორმოცდა ათი წლის განმავლობაში—ქართველნი მამანი თავის ადგილზედ იმყოფებიან მადლითა ღვთისათა. ამისათვის ქართველნი მამანი ძველ ათონში მყოფნი მოელიან ხსნას და შველას ღვთისაგან და ქართველ ერის ხმის ამაღლებითა თავის საკუთარი რამოდენიმე მილიონიანი ქონების და ძველი ისტორიული ნაშთის დაბრუნებისათვის, რომელიც შეადგენს ქართველთა საკუთრებას, ძველი ათონიდან გამოგზავნილი წერილი მივიღე, რომელიც არის დაწერილი 5 თიბათვეს 1917-ს წ. ხოლო მე მივიღე მარიამობისთვის ბოლოებს. ძველი ათონიდან მწერს წინამძღვარი შემდეგს; შეატყობინებთ თქვენც გაიგოთ, 1917 იანვრის პირველს, ათონშიდ შემოვიდა რუსის და საფრანგეთის ჯარი და გამოაცხადეს სამხედრო წესი და ყველა მოსახლენი ბერძნის მეფისა და გერმანიისა რომელიც აღმოჩნდა ბერძნის ბერები ყველა დაიჭირეს და მიტილინის კუნძულად გაგზავნესო. მრავალ ბერძენთა მონასტერთა მიერ შევიწროებულ ბერებმა მიიღეს ხუგუშინაცემით თხოვნა მისცეს სამხედრო წარმომადგენელთა მათთანავე ჩვენც მივეცით თხოვნა და დაიბარეს ჩვენი ივერიის მონასტრის ბერძნის ბერები და ხელწერილი დაადებინეს და მოაცემინეს ნება ჩვენთვის ეკლესიის კვარხვისა წყლის მილით გადმოყვანა და შეშის მოჭრა უსასყიდლოდ. მაისის 23-ს მოვიწვიე ათონში ყოფილი არქიეპისკოპოსი ბერძნისა პაისიოსი. კაცი წმიდა და დიდებული და ვაკურთხებინე ეკლესია და სამჯერ ვაწირვინე და ორი მღვდელმონაზონი და ერთი მთავარდიაკონი მიკურთხაო. ამასთანავე ახლა ბერინები დიდად პატივსაგვცემენო, მაგრამ ეს ყველა დროებითი არის- ახლა არის დრო ჩვენი ივერიის მონასტრისო, რომელიც ამისთანა დრო არაოდეს არ ყოფილა და არც იქნება აღიმაღლონ ქართველთა ერმა ხმა: მოამზადონ საზავო კონფერენციისათვის საბუთები და საჭირო მასალები, რომელიც აუცილებლად უნდა გამოცხადდესო.

ძველი ათონის ქართველთა სავანის ძმათა წარმომადგენელი ღვდელმონაზონი ხამპსონი.

---

*) იბეჭდება უცვლელად.

რედ.

წერილი რედ. მიმართ

ნ. დურნოვოს ფონდისათვის.

ბ-ნო რედაქტორო, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ბედნიერი დღე მრავალტანჯული ჩვენი ეკლესიის განთავისუფლებისა. ყველა ქართველი დღეს მისცემია უზომო სიხარულსა და აღტაცებას. აღარა გვყავანან რუსის ეგზარხოსები, რომლებიც ჩვენს ეკლესიას დასტრიალებდნენ არა როგორც სულიერი მამები, არამედ როგორც პოლიციელნი ძველი პოლიციური მთავრობისა, რომლებიც სულიერი აღზრდის მაგივრად სარწმუნოებას სწამლავდნენ, სათნოების მაგივრად შურისა და შულის თესლს აბნევდნენ, ეკლესიებისა და მონასტრების გამდიდრება-გამშვენიერების მაგივრად სძარცვავდნენ და ანადგურებდნენ, ერთი სიტყვით, ყოველ მხრით ცდილობდნენ მოესპოთ ჩვენს გულში სარწმუნოება—ეს ერთად ერთი დედა ბურჯი ეროვნებისა.

უზომოა ჩვენი სიხარული და უზომოა ის აღტაცება ყველა იმ პარტიათა და პირთა მიმართ, ვინც თავგამოდებით ებრძოდა რუსეთის ძველ მთავრობას, თავისუფლების მოსაპოვებლად.

პოლიტიკურმა თავისუფლებამ სინიდისისა და რწმენის თავისუფლებაც მოგვცა, ამიტომ მადლობას ვწირავთ ყველა მებრძოლთ, ვაქებთ ბრძოლის ველზე დაცემულთ და უგულითადეს მადლობას ვუძღვნით იმ არა ქართველს, ტომით უცხო ადამიანს, რომელიც ქართველთა საომარ რაზმში პირველი ადგილი ეჭირა და მედგრად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისათვის.

ეს ადამიანი გახლავთ ღრმად პატივცემული ნიკოლოზ დურნოვო.

ეს სპეტაკი ადამიანი, გულწრფელი პატრიოტი, რომელიც თავის ერს არავის დააჩაგვრინებს, მაგრამ არც თავის ერს მისცემს ნებას ძმად ნაფიცი ერი დაჩაგროს.

როგორც თვითონ ბ-ნი დურნოვო ბრძანებს, ის ორმოცი წელიწადია ოცნებობდა ქართულ ეკლესიის განთავისუფლებაზე. ორმოცი წელიწადი იბრძოდა იგი ქართველებთან ერთად, იბრძოდა თავგანწირულად, ამხელდა უშიშრად უწმინდეს სინოდსა, საქართველოს ეგზარხოსებს, ამტკიცებდა მეცნიერულად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას, არავის არ ინდობდა, აუარებელ მტერს იძენდა, შეიძლება ამ საქმეს თავისი ბრწყინვალე კარიერაც კი შესწირა და ეს იმ დროს, როდესაც მას ქართველებთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა, არც კი ყოფილა საქართველოში, არავის მისთვის არ უთხოვნია, სასყიდელი არავის შეეძლეა, როგორც ამას ამგვარ შემთხვევებში სხვა ერების წარმომადგენელნი სჩადიან.

უანგარო იყო მისი ორმოცი წლის ბრძოლა და უანგაროა მისი დღევანდელი სიხარული.

საჭიროა, ბ-ნო რედაქტორო, ამ კაცის ღვაწლი რამე ნაირად აღნიშნულ იქმნას, საჭიროა ამ კაცს რამე გვარად მადლობა გადაუხადოთ.

ქართველ ადამიანს ორი კარგი თვისება აქვს. იგინი ერთი მეორისაგან მეტად განსხვავდებიან. ერთია გრძნობა მადლობისა, როდესაც ჩვენ კეთილად მოგვეპყრობიან, მეორე გრძნობა შურის ძიებისა, როდესაც თავმოყვარეობას შეგვილახავენ. ხოლო ეს გრძნობანი გვიორკეცდება, როდესაც ეს სიკეთე თუ შელახვა ეხება ჩვენს წმიდათა-წმიდას, ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

მე მაქვს გადადებული 1000 მანეთი, თუ საჭიროება მოითხოვს კიდევ ამდენს და მეტსაც კიდევ მეტს გადავდებ; [illegible] თავისი წვლილი გადადებინო ჩემს ამხანაგებსა და ნაცნობებს, იმედი მაქვს, ბევრი სხვა ქართველიც მხარს დაგვიჭერს. ამგვარად შეგროვდება პატარა თანხა და რა ნაირად აღინიშნება ღვაწლი პატივცემულ ნ. დურნოვოსი და რა სახით გამოიხატება ჩვენი მისდამი მადლობა, ეს ქართველი საზოგადოებისათვის მიმინდვია.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი
ნოე გლახუნას ძე
ხახრუ ძ.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.

კალენდარი

პარასკევი ენკენისთვის

22

ქართ. წმ. მღვდელ-მოწამისა ფოკასი, სინოპის ეპისკოპოსისა. წმ. წინასწ. იოანესი, ღირსისა იონა ხუცისა, მამისა თეოფანე კანონთ-თქმელისა და თეოდორე გამომეტყველისა.

კათოლ. მავრიკესი და თომასი.

სომხ. დღესასწაული ჯვრისა.

მაჰმად. ჯუმა 18 რიც. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომ შიშ 19 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თფილისიდან გადის:			
ბათუმისკენ	საფ.	№ 5,	11.32 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.28 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3. 17დღ.
„	„	№ 17,	8.19 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.51 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.46 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 6-8,	12.15 საღ.
თფილისში მოდის:			
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	8.38 დილ.
„	საფ.	№ 6,	7.41 საღ.
ბაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.57 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	9.50 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.26 დილ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.20 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 8 [illegible],	7.53 დილ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნებს მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—25

საავადმყოფო

[illegible] ექიმთა სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისათვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელიაშვილი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დღეგამოშვებით 10—12 ს. ყოველდღე.
გეგეჭკორი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახვლედიანი—ყურის, ყელის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალიშვილი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხი—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუბინოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავ. დ. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საშვილოსნო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა და საშვილოსნო ავად. დღეგამოშვ. ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნასიმიანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტოლოცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ადამიანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—69

ოპტიკის მაღაზია

ძმ. მეზველიშვილები

ბორჯომის ქუჩა, [illegible] № 5, ტელეფონი № 712.

[illegible]

სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გამაჰვის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“